186
1967

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი—ოქტომბერი

1967 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10.502.

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1967 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 მაისის № 433 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
2. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 ივლისის № 443 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ.
3. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშების დამატებით დაწესების შესახებ.
4. სამინისტროების, უწყებების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5. კომუნისტური შრომის საწარმოებისათვის მოწმობების, სამკერდე ნიშნების „კომუნისტური შრომის დამკვრელი“, ალმებისა და წითელი დროშების დამზადების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. სამინისტროების, უწყებების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ.
7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელის დაწესების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

8. საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე.
9. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების" შესახებ.
10. დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების მუშაობისა და მრეწველობის დარგების ახალ სისტემაზე შემდგომი გადაყვანის ღონისძიებათა შესახებ.
11. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
12. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 790 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
13. მთლიანად დამთავრებული ობიექტებისათვის ან სამუშაოთა ეტაპებისათვის ანგარიშსწორებათა გამოცდილების მშენებლობაში დანერგვის შესახებ.
14. ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
15. არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღმზრდელის დებულების დამტკიცების შესახებ.
16. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ.
17. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 აგვისტოს № 757 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
18. „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ" საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

19. განკარგულება № 1298-გ.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

I სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 მაისის № 433 დადგენილებასთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 მაისის № 433 დადგენილებისა „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის № 372 დადგენილებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების თაობაზე“ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 13 მაისის № 421 დადგენილებისა, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. პუნქტი 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1957 წლის 12 სექტემბრის № 1005 დადგენილებისა „ლობიოს ნათესების გაფართოებისა და მისი მოსავლიანობის გადიდების შესახებ“.

2. პუნქტი 32 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1949 წლის 21 ივნისის № 677 დადგენილებისა „1949 წელს მოსავლის აღებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1951 წლის 22 ივნისის № 781 დადგენილება „1951 წელს მოსავლის აღების ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“.

4. „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცხოველეობის შემდგომი განვითარების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 4 დეკემბრის № 1624 დადგენილების V განაყოფის პუნქტი 1.

5. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ

მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 69 დადგენილების მე-5 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

6. „საქართველოს სსრ ჩამორჩენილ კოლმეურნეობათა ეკონომიკის აღმავლობის ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 5 მაისის № 269 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტები „ა“ და „ბ“, პუნქტები 3, 4 და 7.

II. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 მაისის № 433 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

1. „კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ლიკვიდაციის ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1946 წლის 19 სექტემბრის დადგენილების შესრულების თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 8 თებერვლის № 698 დადგენილების მე-5 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 26 თებერვლის № 246 დადგენილებასთან ერთად.

2. პუნქტი 24 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 15 ივლისის № 3181 დადგენილებისა „1952 წელს მოსავლის აღების ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1952 წლის 24 ივლისის № 1131 დადგენილებასთან ერთად.

3. „მეცხოველეობისაგან მიღებული ფულადი შემოსავლის კოლმეურნეობებში განაწილების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 24 მარტის № 501 დადგენილების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, „ბ“ ქვეპუნქტის პირველი აბზაცი. ეს დადგენილება დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 31 მარტის № 326 განკარგულებასთან ერთად.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 5 სექტემბერი, № 567.

2 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 ივლისის № 443 დადგენილების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 ივლისის № 695 დადგენილებისა „სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ადგენენ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „რადიოელექტრონიკისა და ელექტრონული ტექნიკის დარგში უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მქონე სპეციალისტთა მომზადების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 6 ივლისის № 443 დადგენილების მე-8 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 19 სექტემბერი, № 598.

3 დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშების დამატებით დაწესების შესახებ

დამატებით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 1967 წლის 6 ივნისის № 387 დადგენილებისა „რესპუბლიკის იმ საწარმოთა, ორგანიზაციათა და კოლმეურნეობათა კოლექტივებისათვის სამახსოვრო დროშების დაწესების შესახებ, რომლებმაც გაიმარჯვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭო

ადგენენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაწესდეს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს 10 სამახსოვრო დროშა საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების იმ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივების დასაჯილდოებლად, რომლებმაც გაიმარჯვეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ამასთან ეს დროშები განაწილდეს დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ საქართველოს პროფსაბჭოსთან ერთად განსაზღვრონ საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებისათვის სამახსოვრო დროშებთან ერთად მისაცემი ფულადი პრემიების ოდენობა და აღნიშნული პრემიების გასაცემად საჭირო სახსრების წყაროები.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი	საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე
ვ. მჟავანაძე.	**გ. ძოწენიძე.**	**გ. ჯავახიშვილი.**	**შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 19 სექტემბერი, № 599.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს 1967 წლის 19 სექტემბრის № 599 დადგენილების დანართი

გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს სამახსოვრო დროშებისა საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შორის

საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	სამახსოვრო დროშების რაოდენობა
საქართველოს სსრ სახმშენი	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი	1
საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო	1
საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო	1
საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო	1
საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო	1
საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრო	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველო	1
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია	1
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტი	1

4 სამინისტროების, უწყებების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმდინარე წლის 21 სექტემბრის დადგენილების შესაბამისად განხორციელდეს ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე გადაყვანა, ამჟამად დაწესებული სამუშაო დროის საერთო ხანგრძლიობის შენარჩუნებით კვირაში, საოლქო, საქალაქო და რაიონული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკებისა—1967 წლის დეკემბრის განმავლობაში და რესპუბლიკური სამინისტროების, უწყებების, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების აპარატის მუშაკებისა — ერთდროულად 1968 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 3 ოქტომბერი, № 613.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5 კომუნისტური შრომის საწარმოებისათვის მოწმობების, სამკერდე ნიშნების „კომუნისტური შრომის დამკვრელი“, ალმებისა და წითელი დროშების დამზადების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1966 წლის 21 დეკემბრის დადგენილებით დაწესდა, რომ „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ მოწმობებს და სამკერდე ნიშნებს, ალმებს, წითელ დროშებსა და დიპლომებს ამზადებენ სამინისტროები და უწყებები საკავშირო პროფსაბჭოს მიერ დამტკიცებული ნიმუშების მიხედვით:

კომუნისტური შრომის დამკვრელის მოწმობის შიგანაწები მზადდება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ნიშნის მოსკოვის სტამბაში საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა განცხადებით, რომლებიც წარედგინება საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სასახლის სამმართველოს.

4. დაევალოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საწარმოო კომბინატს დაამზადოს სამინისტროების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების განაცხადებით, ალმები და წითელი დროშები კომუნისტური შრომის საწარმოებისათვის.

5. დაეკისროს საქართველოს პროფსაბჭოს შრომის სასახლის სამმართველოს „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ მოწმობებისა და სამკერდე ნიშნების დამზადების დამკვეთის ფუნქციები.

6. დაწესდეს, რომ კომუნისტური შრომის საწარმოებისათვის დამზადებული ალმებისა და წითელი დროშების, „კომუნისტური შრომის დამკვრელის“ მოწმობებისა და სამკერდე ნიშნების ღირებულებას აანაზღაურებენ სამინისტროები და უწყებები, ცენტრალიზებული წესით საწარმოთა, მშენებლობათა, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობათა და სხვა ორგანიზაციათა სპეციალური ფონდების ხარჯზე.

7. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 13 აგვისტოს № 497 დადგენილება „კომუნისტური შრომის დამკვრელების და კოლექტივებისათვის მოწმობების და დიპლომების დაწესებისა და დაბეჭდვის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 2 ოქტომბერი, № 607.

6 სამინისტროების, უწყებების, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადაყვანის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 21 სექტემბრის № 882 დადგენილების და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 3 ოქტომბრის № 613 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1967 წლის 9 ოქტომბრიდან საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 10 ივლისის № 441 დადგენილება იმ ნაწილში, რომელიც შეეხება სამინისტროების, უწყებების, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების აპარატის მუშაკების ვადაყვანას ხუთ სამუშაო და ორ დასვენებისდღიან კვირაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 5 ოქტომბერი, № 614.

7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის საპატიო სიგელის დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირისა და საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წინადადება და ნება დაერთოს მათ დააწესონ საპატიო სიგელი რესპუბლიკის კინემატოგრაფიის განსაკუთრებით წარჩინებულ მუშაკთა დასაჯილდოებლად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს კინემატოგრაფიის მუშაკთა კავშირს, საქართველოს კულტურის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს დაა-

მტკიცონ დებულება რესპუბლიკის კინემატოგრაფიის განსაკუთრებით წარჩინებული მუშაკების საპატიო სიგელით დაჯილდოების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 18 ოქტომბერი, № 641.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

8 **„საქართველოს სს რესპუბლიკაში გამოცემული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის ნაწარმოებებისათვის საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლისა და დამატების თაობაზე**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილება შეუფარდდება მხოლოდ საავტორო ჰონორარის იმ თანხებს, რომელთა მიღების უფლება წარმოიშვა იმ ხელშეკრულებებით, რომლებიც დადებულია 1967 წლის 1 ივლისიდან დაწყებული.

2. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს გამოსცეს საინსტრუქციო მითითებანი და აძლიოს განმარტებანი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილების შეფარდების შესახებ.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 7 ივლისის № 435 დადგენილების მე-4 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი **1967 წ. 2 სექტემბერი, № 556.**

9 გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ დატოვება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის სისტემაში.

2. ამასთან დაკავშირებით, გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 17 ივნისის № 396 დადგენილება გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნების“ საქართველოს მწერალთა კავშირისათვის გადაცემის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 11 სექტემბერი, № 573.

10 დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების მუშაობისა და მრეწველობის დარგების ახალ სისტემაზე შემდგომი გადაყვანის ღონისძიებათა შესახებ

შესასრულებლად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილებისა „დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების მუშაობისა და მრეწველობის დარგების ახალ სისტემაზე შემდგომი გადაყვანის ღონისძიებათა შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილება დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გააძლიერონ მუშაობა საწარმოებში, რათა დაჩქარდეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი, უფრო სრულად იქნას გამოყენებული ძირითადი ფონდები და საწარმოო სიმძლავრენი, გაძლიერდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები, გაუმჯობესდეს პროდუქციის საიმედოობა და გამძლეობა, შემცირდეს შრომითი და მატერიალური დანახარჯები წარმოებაში და ამ მიზნით განახორციელონ პრაქტიკული ღონისძიებანი ძირითადი მიმართულებებით, რომლებიც

აღნიშნულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 10 აგვისტოს № 774 დადგენილების 1 პუნქტში;

ბ) შეიმუშაონ და არა უგვიანეს 1967 წლის 15 ოქტომბრისა წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის ორგანიზაციული გეგმის პროექტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა განიხილოს ამ გეგმების პროექტები და დასამტკიცებლად წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს;

გ) შეიმუშაონ და 1967 წლის 15 ნოემბრამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს სამრეწველო საწარმოების დარგობრივი დაგეგმვა და მართვა, წვრილი საწარმოების გამსხვილების ან სპეციალიზაციის, საწარმოო გაერთიანებათა შექმნის (სადაც ეს საჭიროა), აგრეთვე სამინისტროების გაერთიანებებსა და დარგობრივ ქვედანაყოფებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ბაზაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ განაზოგადონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების აღნიშნული წინადადებანი და 1967 წლის 25 ნოემბრამდე წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შესაბამისი მოხსენება სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისათვის წარსადგენად.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა გამოუყონ საწარმოებს საჭირო მატერიალური რესურსები იმისათვის, რომ გეგმის გადამეტებით გამოუშვან დეფიციტური სახის პროდუქცია და სახალხო მოხმარების საქონელი.

4. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარმა სამმართველომ გაითვალისწინონ სახალხო მეურნეობის გეგმების პროექტებით, რომ უზრუნველყოფილ იქნან მატერიალური რესურსებით ღონისძიებანი, რომლებიც ხორციელდება წარმოების განვითარების და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდების სახსრების

ხარჯზე, აგრეთვე გაითვალისწინონ საიჯარო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებით ძშენებლობისა და დაპროექტების შესაბამისი დავალებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 19 სექტემბერი, № 585.

ასლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 774

1967 წლის 10 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილი საწარმოების მუშაობისა და მრეწველობის დარგების ახალ სისტემაზე შემდგომი გადაყვანის ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, საწარმოთა კოლექტივებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს იმისათვის, რომ მოემზადებინათ და გადაეყვანათ მრეწველობის საწარმოები და დარგები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე. მეურნეობის გაძღოლის ახალ მეთოდებზე გადაყვანილია 5 ათასზე მეტი საწარმო, რომლებიც უშვებენ მთელი სამრეწველო პროდუქციის 30 პროცენტზე მეტს.

ამ საწარმოების მუშაობის პირველი გამოცდილება მოწმობს, რომ ეკონომიური რეფორმის განხორციელების პროცესში უკეთ ხდება წარმოების რეზერვებისა და ძირითადი ფონდების გამოყენება. გაძლიერდა ყურადღება წარმოების ეკონომიკისადმი, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლებისადმი. ამის შედეგად, საწარმოთა უმეტესობამ მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, მოგებისა და სხვა მაჩვენებლების გადიდებული გეგმები, რომელთა განაღდება მათ იკისრეს ახალ სისტემაზე გადასვლის დროს. 1966 წელს გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 600 მილიონი მანეთის პროდუქცია და მიღებულია 250 მილიონი მანეთი ზეგეგმითი მოგება, ხოლო 1967 წლის პირველ ნახევარში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 1200 მილიონი მანეთის პროდუქცია და მიღებულია დაახლოებით 310 მილიონი მანეთის ზეგეგმითი მოგება.

გადიდებული გეგმების წარმატებით შესრულებამ საშუალება მისცა ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებს შეექმნათ ეკონომიური სტიმულირების

ფონდები, რამაც გააძლიერა მუშაკთა დაინტერესება როგორც თავიანთი შრომის შედეგებით, ისე საწარმოს საქმიანობის საერთო შედეგებითაც. საწარმოების მუშაობის წლიური შედეგებისათვის პრემიებისა და გასამრჯელოს მიცემა მატერიალური წახალისების ფონდიდან ხელს უწყობდა შრომის დისციპლინის ამაღლებას და კადრების დენადობის შემცირებას.

ამასთან ერთად, ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაში ადგილი აქვს არსებითს ნაკლოვანებებსაც. ჯერ კიდევ სრულად არ ხდება ახალი სისტემის შესაძლებლობათა გამოყენება წარმოების განვითარების ტემპების ასამაღლებლად, საჭირო ყურადღება არ ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ახალი ტექნიკის დანერგვა და ტექნოლოგიის სრულყოფა, შრომისა და წარმოების ორგანიზაციის გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდა და პროდუქციის ხარისხის ამაღლება.

ბევრ საწარმოში სუსტად ინერგება სამეურნეო ანგარიშის ურთიერთობანი საამქროებს შორის, არ არის შემუშავებული სისტემა საამქროების, უბნების, ბრიგადებისა და სხვა დარგების მუშაკთა დაჯილდოებისა მატერიალური წახალისების ფონდიდან, რაც უზრუნველყოფდა თვითეული მუშაკის მატერიალურ დაინტერესებას კონკრეტულ დავალებათა შესრულებით, ადგილი აქვს იმ პრემიების ოდენობის შეუსაბამობას, რომლებიც ეძლევათ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს.

მთელ რიგ საწარმოებში უზრუნველყოფილი არ არის სწორი თანაფარდობა შრომის ნაყოფიერების ზრდასა და საშუალო ხელფასის ზრდას შორის. ცალკეული საწარმოები არღვევენ პროდუქციის კოოპერირებული მიწოდების ურთიერთვალდებულებებს, სახელშეკრულებო და საგადამხდელო დისციპლინას.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაციის საქმეს. ზოგიერთი სამინისტრო და უწყება ზედმეტად არეგლამენტებს ქვესაუწყებო საწარმოების საქმიანობას, ბევრი ცვლილება შეაქვს წლის მანძილზე მათს გეგმებში. საკმაო დახმარებას არ უწევს საწარმოებს შიდასაქარხნო დაგეგმვისა და სამეურნეო ანგარიშის გაუმჯობესებაში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა ჯერ კიდევ ვერ გადაწყვიტეს სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის დანერგვასთან დაკავშირებული მთელი რიგი საკითხები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 14 მარტის № 197 დადგენილებით.

აღნიშნული ნაკლოვანებანი ამცირებენ წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის მოქმედების ეფექტიანობას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გააძლიერონ მუშაობა საწარმოებში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისა, ძირითადი ფონდების და საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრულად გამოყენებისა, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპე-

ბის გაძლიერებისა, პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და გამძლეობის გაუმჯობესებისათვის, წარმოებაში შრომითი და მატერიალური დანახარჯების შემცირებისათვის. ამ მიზნით:

მოაწყონ წარმოების განვითარების ფონდის ეფექტიანად გამოყენება საწარმოებში, რათა დაინერგოს ახალი ტექნიკა, მექანიზაცია და ავტომატიზაცია, განახლდეს მოწყობილობა და განხორციელდეს სხვა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოო სიმძლავრეთა სისტემატურ ზრდას ნაკლები დანახარჯებით იმ დანახარჯებთან შედარებით, რაც საჭიროა ახალი მშენებლობის განსახორციელებლად, და ამ საფუძველზე შეამცირონ იმის მოთხოვნილება, რომ შეიქმნას ახალი საწარმოო სიმძლავრენი ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

განახორციელონ ღონისძიებანი საწარმოებისა და საამქროების სპეციალიზაციისათვის, ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესებისათვის, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის ფართოდ დანერგვისა და ნაკეთობათა შრომატევადობის მაქსიმალურად შემცირებისათვის, აგრეთვე წარმოების მართვის სტრუქტურის სრულყოფისათვის იმ ანგარიშით, რომ წარმოების შემდგომი გადიდება მოქმედ საწარმოებში უზრუნველყოფილი იყოს უმთავრესად შრომის ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე;

უზრუნველყონ მატერიალური წახალისების ფონდის სახსრების უფრო რაციონალურად ხარჯვა იმ ანგარიშით, რომ გაძლიერდეს ყველა კატეგორიის მუშაკთა დაინტერესება წარმოების რენტაბელობის გადიდებით და არ დაუშვან იმ პრემიების ოდენობის შეუსაბამობა, რომლებიც ეძლევათ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს;

განახორციელონ კონტროლი სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის სწორად გამოყენებისადმი.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური სამინისტროებისა და უწყებების და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოების გადაყვანას დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე 1967—1968 წლებში განახორციელებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული საუწყებათაშორისო კომისიის მიერ მოწონებული მითითებებისა და ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნის ამ კომისიის მიერ დაწესებული გამოსავალი ნორმების შესაბამისად;

დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე აღნიშნული საწარმოების გადაყვანის ორგანიზაციულ გეგმებს დაამტკიცებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.

3. ნება დაერთოს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს მრეწველობის დარგების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანისას დააწესონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ საუწყებათაშორისო კომისიასთან შეთანხმებით დარგობრივი ნორმატივები მოგების ანარიცხებისა ეკონომიური სტიმულირების ფონდებში და მათ საფუძველზე ამ ფონდებში მოგების ანარიცხების ჯგუფური ნორმატივები (ხოლო ცალკეულ განსაკუთრებულ შემთხვევებში — ინდივიდუალური ნორმატი-

ვები). ნორმატივები მოგების ანარიცხებისა მატერიალური წახალისების ფონდში და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში უნდა იყოს აგრეთვე შეთანხმებული პროფკავშირთა შესაბამის ცენტრალურ კომიტეტებთან.

4. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის №729 დადგენილების 16,17,21,28,29 და 37 პუნქტების დამატებით დაწესდეს, რომ:

ა) მატერიალური წახალისების ფონდში, სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდში და წარმოების განვითარების ფონდში მოგების ანარიცხები იწარმოებს ყოველკვარტალურად. პროდუქციის რეალიზაციის (მოგების), რენტაბელობისა და ნატურალური გამოხატულებით პროდუქციის უმნიშვნელოვანეს სახეობათა წარმოების გეგმების შესრულების შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე, რომლებიც იანგარიშება მზარდი ჯამით მოცემულ წელს ახალი სისტემით მუშაობის დაწყებიდან (კვარტალი, წლის ნახევარი, ცხრა თვე, წელიწადი);

ბ) სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და საწარმოთა ხელმძღვანელები წლიური გეგმების პროექტებთან ერთად წარუდგენენ შესაბამის ორგანოებს წარმოების განვითარების ფონდისა და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა და საბინაო მშენებლობის ფონდის დასახული ოდენობის გაანგარიშებებს, აგრეთვე ამ ფონდების გამოსაყენებლად საჭირო მატერიალური რესურსების და სამშენებლო-სამონტაჟო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა მოცულობის გაანგარიშებებს.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა გაითვალისწინონ სახალხო სამეურნეო გეგმების პროექტებით იმ ღონისძიებათა უზრუნველყოფა მატერიალური რესურსებით, რომლებიც ხორციელდება აღნიშნული ფონდების სახსრების ხარჯზე, აგრეთვე გაითვალისწინონ საჯარო და საპროექტო-საძიებო სამუშაოთა გეგმებით მშენებლობისა და დაპროექტების შესაბამისი დავალებანი;

გ) სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ გაადიდონ ან შეამცირონ ცალკეული საწარმოებისათვის ნორმატივები საამორტიზაციო ფონდის ანარიცხებისა წარმოების განვითარების ფონდში იმ სახსრების ოდენობის 50 პროცენტის ფარგლებში, რომლებიც უნდა მიეცეს ამ მიზნისათვის სამინისტროს (უწყებას);

დ) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს შეუძლიათ ნება დართონ ცალკეულ შემთხვევებში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მათი თხოვნით წარმართონ წარმოების განვითარების ფონდში იმ საამორტიზაციო ანარიცხთა 30 პროცენტზე ნაკლები, რომლებიც განკუთვნილია ძირითადი ფონდების სრულად აღდგენისათვის;

ე) ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახადი არ გადახდება ფინანსებულებიდან:

საექსპლუატაციოდ ახლად გადაცემული დიდი საწარმოო დანადგარებისა მათი სიმძლავრის ათვისების იმ ვადის განმავლობაში, რაც გათვალისწინებულია დარგობრივი ნორმატივებით;

ძირითადი ფონდებისა, რომლებიც კონსერვირებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების გადაწყვეტილებებით;

ნაგებობებისა, რომლებიც განკუთვნილია წარმოების მავნე ნარჩენებისაგან წყლისა და საჰაერო აუზების გასაწმენდად;

ნაგებობებისა და მოწყობილობისა, რომლებიც უზრუნველყოფენ შრომის დაცვის და სამრეწველო სანიტარიის გაუმჯობესებას;

საწარმოოს ბალანსზე არსებული მწვანე ნარგავებისა.

სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს შეუძლიათ გაათავისუფლონ სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ძირითადი საწარმოო ფონდების გადასახადისაგან აგრეთვე საწარმოთა ბალანსზე არსებული ძირითადი ფონდები საცდელი წარმოებებისა, რომლებიც ახორციელებენ სამუშაოებს მთლიანად დარგისათვის, სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიებისათვის, საკონსტრუქტორო და საპროექტო ბიუროებისათვის, აგრეთვე გარეშე საკანალიზაციო ნაგებობათა ძირითადი ფონდები;

ვ) საწარმოთა მუშაკებს მუშაობის წლიური შედეგებისათვის, თუ მათ არ შეუსრულებიათ პროდუქციის რეალიზაციის (ან მოგების) და წარმოების რენტაბელობის წლიური გეგმიანი დავალებანი, გასამრჯელო მიეცემათ შემცირებული რაოდენობით მატერიალური წახალისების იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც დარიცხულია დაწესებული ნორმატივებით წლის მანძილზე მუშაობის შედეგების მიხედვით, რასაც გამოაკლდება წლის განმავლობაში გაცემული თანხები;

ზ) მატერიალური წახალისების ფონდი შეიძლება გამოყენებულ იქნას მუშაკთა დასაჯილდოებლად შიდასაქარხნო სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით.

5. დაწესდეს, რომ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოთა კოლექტივების დაჯილდოება საკავშირო და რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით წარმოებს საწარმოს ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, ხოლო თუ ეს სახსრები საკმარისი არ იქნა — საწარმოს მოგების თავისუფალი ნაშთის ხარჯზე.

6. დაწესდეს, რომ:

ა) ცენტრალიზებული კაპიტალური დაბანდებანი გეგმიან-საზარალო, აგრეთვე მცირერენტაბელური საწარმოებისა (რომელთა მოგება ვერ უზრუნველყოფს დაგეგმილი დანახარჯების დაფარვას), რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, დაფინანსდება საწარმოს, გაერთიანების, სამმართველოს, სამინისტროს (უწყების) ძირითადი ფონდების სრულად აღსადგენად განკუთვნილი საამორტიზაციო ანარიცხების (გარდა იმ ანარიცხების ნაწილისა, რაც წარიმართება წარმოების განვითარების

ფონდში), მოგებისა და სხვა საკუთარი სახსრების ხარჯზე, ხოლო თუ ეს სახსრები საკმარისი არ არის — ბიუჯეტიდან ასიგნობათა ხარჯზე;

ბ) ცვლილებებს სახალხო-სამეურნეო გეგმის მაჩვენებლებსა და საფინანსო გეგმებში, იმასთან დაკავშირებით, რომ საწარმოებმა (დარგებმა) დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადასვლისას იკისრეს დამატებითი ვალდებულებანი, — შეიტანენ სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

7. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

სისტემატური დახმარება აღმოუჩინონ საწარმოებს სამეურნეო ანგარიშის და ოპერატიულ-საწარმოო დაგეგმვის პროგრესული შიდასაქარხნო სისტემების შემუშავებაში, ამასთან ფართოდ ჩააბან ამ მუშაობაში სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და დარგობრივი ეკონომიური ლაბორატორიები;

სრულად უზრუნველყონ საწარმოები დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანის დროს საბრუნავი სახსრებით, ხოლო იმ საწარმოებისათვის, რომლებიც წინათ არიან გადაყვანილი ახალ სისტემაზე და აკლიათ საბრუნავი სახსრები, შეიმუშაონ მათთან ერთად ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ იმ საბრუნავი სახსრების დანაკლისის შევსებას, რაც შექმნილია ამ საწარმოების საქმიანობისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით;

განახორციელონ ახალ სისტემაზე გადაყვანილ და გადასაყვან საწარმოებში იმ საბიუჯეტო ასიგნობათა დროულად შეცვლა, რომლებიც გამოიყოფა ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დასაფინანსებლად, ამ საწარმოთა საკუთარი სახსრებით, ხოლო დანაკლის ნაწილში — ბანკის გრძელვადიანი კრედიტით.

მოაწყონ დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე გადაყვანილ საწარმოებში მუშაობა მშენებლობისათვის საჭირო საკუთარი სახსრების მობილიზაციისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ ახალ პირობებში საკუთარი სახსრები წარმოადგენენ მოქმედ საწარმოებში მშენებლობის დაფინანსების მთავარ წყაროს, რაც გათვალისწინებულია გეგმით ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გამოუყონ საწარმოებს საჭირო მატერიალური რესურსები დეფიციტური სახის პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოსაშვებად გეგმის გადამეტებით.

9. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა შეიმუშაონ და 1967 წლის 1 დეკემბრამდე წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემდგომ გაუმჯობესდეს სამრეწველო საწარმოების დარგობრივი დაგეგმვა და მართვა წვრილი საწარმოების გამსხვილების ან სპეციალიზაციის, საწარმოო გაერთიანებების შექმნის (სადაც ეს საჭიროა), აგრეთვე სამინისტრო-

ების გაერთიანებებსა და დარგობრივ ქვეგანაყოფებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის ბაზაზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, განაზოგადოს სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების აღნიშნული წინადადებანი, აგრეთვე სამინისტროების იმ საწარმოო გაერთიანებებისა და დარგობრივი ქვეგანაყოფების მუშაობის გამოცდილება, რომლებიც გადაყვანილი არიან დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ სისტემაზე, და შესაბამისი მოხსენება წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

10. დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მონაწილეობით, ჩაატარონ 1967-1968 წლებში მრეწველობის მთელი რიგი დარგების საწარმოებში, მათ თავისებურებათა გათვალისწინებით, ეკონომიური სტიმულირების ფონდების შექმნის საცდელი შემოწმება, რისთვისაც პირდაპირ გადარიცხონ მთელი მიღებული მოგება.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **კ. სელივანოვი.**

11 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 791 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 791 დადგენილებისა „კავშირგაბმულობის საწარმოების მიერ გაზეთების, ჟურნალების, წიგნებისა და სხვა ნაბეჭდი გამოცემების გავრცელების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 10 დეკემბრის № 1131 დადგენილება „გაზეთებისა და ჟურნალების გავრცელების წესის შესახებ“.

2. პუნქტები 4 და 6 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 6 ივნისის № 466 დადგენილებისა „წიგნების გავრცელების გაუმჯობესების ზომების შესახებ“.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 15 მარტის № 142 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში პერიოდული პრესის გავრცელების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, გარდა მე-4 პუნქტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი 1967 წ. 22 სექტემბერი № 595.

12 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 790 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 15 აგვისტოს № 790 დადგენილებისა „რადიოსატრანსლაციო წერტილების სარგებლობისათვის სააბონემენტო ქირის გადახდევინების წესის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილება „საქართველოს სს რესპუბლიკაში კავშირგაბმულობის მომსახურებისა და რადიომოსმენის სააბონემენტო ქირის დავალიანების შემცირების ღონისძიებათა შესახებ“, გარდა მე-2 პუნქტისა.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 29 იანვრის № 125 დადგენილება „საკოლმეურნეო რადიოკვანძების სატრანსლაციო რადიოწერტილების სააბონემენტო ქირის ტარიფების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 16 იანვრის № 124 დადგენილების დაგზავნის თაობაზე“.

3. „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 23 იანვრის № 71 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1952 წლის 13 თებერვლის № 190 დადგენილების მე-3 პუნქტის გაუქმების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 31 მარტის № 210 დადგენილების მე-2 პუნქტის ქვეპუნქტი „ა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 22 სექტემბერი. № 596.

13 მთლიანად დამთავრებული ობიექტებისათვის ან სამუშაოთა ეტაპებისათვის ანგარიშსწორებათა გამოცდილების მშენებლობაში დანერგვის შესახებ

იმ მიზნით, რომ დაინერგოს, ცდის სახით, შესრულებული სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის ანგარიშსწორების ყველაზე პროგრესული მეთოდი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის წინადადება, რომ გადმოღებული იქნას რუსეთის სფსრ მშენებლობის სამინისტროს „გლავმოსსტროის“, „გლავლენინგრადსტროის“, სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს და სხვა სამინისტროების სამშენებლო ორგანიზაციების გამოცდილება მთლიანად დამთავრებული სამშენებლო ობიექტებისათვის ან სამუშაოთა ეტაპებისათვის ანგარიშსწორების წარმოების დარგში და დაინერგოს ეს გამოცდილება 1968 წლის 1 იანვრიდან იმ საცხოვრებელი სახლების, სკოლების, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების, სასტუმროებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, აგრეთვე სამრეწველო მშენებლობის სხვა ობიექტების ახლადდაწყებულ მშენებლობაზე, რომლებიც ტიპობრივი პროექტებით ხორციელდება.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს არა უგვიანეს მიმდინარე წლის ნოემბრისა შეადგინოს შემკვეთ სამინისტროებთან და უწყებებთან ერთად ანგარიშსწორების აღნიშნულ წესზე გადაყვანილი ობიექტების სია, განსაზღვროს მათთვის კაპიტალურ დაბანდებათა 1968 წლის გეგმები და საიჯარო სამუშაოთა პროგრამა, 1969 წლისათვის გარდამავალი დაუმთავრებელი მშენებლობის გათვალისწინებით.

3. დაევალოთ შემკვეთ სამინისტროებსა და უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს და რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციებს მოამზადონ იმ ობიექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომლებიც გადაყვანილ უნდა იქნან 1968 წლის 1 იანვრიდან ანგარიშ-

სწორებაზე სრულად დამთავრებული ობიექტებისათვის ან სამუშაოთა ეტაპებისათვის.

4. დაწესდეს, რომ იმ შენობებისა და ნაგებობებისათვის, რომელთა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება 50 ათას მანეთამდეა, ანგარიშსწორება ხდება მას შემდეგ, რაც დამთავრდება ობიექტის მშენებლობა და მისი საექსპლუატაციოდ გადაცემა.

5. დაწესდეს, რომ დაუმთავრებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარჯების დასაფარავად შემკვეთები გადაურიცხავენ მოიჯარე ორგანიზაციებს ამ ობიექტებისათვის დროებითს საბრუნავ სახსრებს კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების ანგარიშიდან.

6. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საქართველოს რესპუბლიკურ კანტორას და დაევალოს მას ჩატარებული მუშაობის შედეგები მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის ნოემბერში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 22 სექტემბერი, № 600.

14 ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

(ამონაკრები)

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურმა საგანგებო კომისიამ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მისმა მცენარეთა დაცვის ინსტიტუტმა, მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის და ზოოლოგიის ინსტიტუტებმა, აგრეთვე ზოგიერთმა სხვა ორგანიზაცია-უწყებამ 1966/1967 წლებში გასწიეს ერთგვარი მუშაობა „ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ნოემბრის № 671 დადგენილების შესრულებისათვის.

მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემსწავლელი განყოფილების მიერ შესწავლილია მავნებლის გავრცელების არეალი, ინტენსივობა და მავნეობა; გამოვლინებულია 19 სახეობის ლაფანჭამიის ადგილობრივი ენტომოფაგები, საგრძნობი მუშაობა ჩატარდა ჩეხოსლოვაკიის, რუსეთის, ბელორუსიისა და ბალტიისპირეთის ტყეებიდან შემოყვანილი რიზოფაგუსის გამრავლების მეთოდისა და ტექნიკის და-

სადგენად, უკვე გაშვებულია ტყეებში პირველი ათასი რიზოფაგუსი და გატარებულია ღონისძიება 1967/68 წლის ზამთრის თვეებში ლაფანჭამიის ამ მტრის დიდი რაოდენობით გამოსაყვანად და ტყეში ჩასასახლებლად მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის წაღვერის ლაბორატორიიდან, აგრეთვე სატყეო მეურნეობებთან და ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში ორგანიზებულ რვა ბიოლაბორატორიიდან.

ნაძვის დიდ ლაფანჭამიასთან ქიმიური მეთოდებით ბრძოლისათვის დადგენილია რეცეპტურა, რომელიც დამაკმაყოფილებელ შედეგს იძლევა (მავნებლის განადგურება 90-98 პროცენტით). ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის და მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის მიერ 1966-1967 წლებში დამუშავებულია ახალი ქიმიური პრეპარატები, რომელთაგან 1967 წლის გამოცდილ ორ პრეპარატს მავნებლის განადგურების ძლიერი თვისებები აღმოაჩნდა.

ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ატრაქტანტების გამოყენებას. ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის ნავთობის ლაბორატორიის მიერ მოწოდებულმა ორმა ქიმიურმა შენაერთმა ძლიერი ატრაქტანტული თვისება გამოამჟღავნა. ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა ამ შენაერთების ფართოდ გამოსაცდელად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტმა შეიმუშავა ტყეში ფრინველების ჩასახლების ტექნიკა, აგრეთვე შეუდგა მუშაობას ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების დასადგენად.

სსრ კავშირის სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს თბილისის სპეციალურ საკონსტრუქტორო ბიურომ დაამუშავა და შეარჩია მანქანა-იარაღები შესხურების მექანიზაციისათვის.

ამასთან ერთად სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემსწავლელ განყოფილებას თბილისში არა აქვს სამუშაო ფართობი ლაბორატორიების მოსაწყობად და საკამერო სამუშაოების საწარმოებლად; წაღვერის ბაზის მშენებლობას აჭიანურებს საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო.

განყოფილების ლაბორატორიები დაკომპლექტებულია ნაკლებად კვალიფიციური კადრებით, რის გამოც ზოგიერთი თემის დამუშავება დაბალ დონეზე სრულდება. ნაკლები ყურადღება ექცეოდა ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლისა და ატრაქტანტების გამოყენების საკითხების შესწავლას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტმა 1966/1967 წლებში ბორჯომის, ბაკურიანის, ახალციხის, ასპინძისა და აბასთუმნის სატყეო მეურნეობებში გააშენა ტყე 836 ჰექტარზე და ბუნებრივ განახლებას შეუწყო ხელი თითქმის 2400 ჰექტარზე. 1966 წელს შხამქიმიკატებით შეწამლეს ერთ მილიონ ძირზე მეტი ნაძვის ხე, ხოლო 1967 წელს გეგმით გათვალისწინებულ 500 ათასი ძირის შეწამვლა მოთავებული არ არის. ამასთანავე შემოწმებით დადგინდა, რომ სატყეო მეურნეობებში დაავადებული ხეების აღრიცხვა ცუდად არის დაყენებული, ზოგგან შხამქიმიკატებით არ არის

შეწამლული ხეები ადვილად მისადგომ კორომებში (ბაკურიანის სატყეო მეურნეობა).

ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია სატყეო მეურნეობებში ტყის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა. წლების მანძილზე ტყეში რჩება ლაფანჭამიითა და სხვა მავნებლებით გამხმარი, ქარქცეული-მოუჭრელი ზეხმელი ხეები, რაც ხელს უწყობს ტყის მავნებელთა და ხანძრის კერების წარმოქმნას.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წელია ხე-ტყის სამრეწველო დამზადება ბორჯომის, ბაკურიანის, აბასთუმნის და ახალციხის სატყეო მეურნეობებში აღარ წარმოებს, ამ მეურნეობებში არ არის შექმნილი საჭირო ბაზა (მუშახელის მუდმივი კადრი, გამწევი ძალა, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) სანიტარულ-ჰიგიენური და ტყის აღდგენითი სამუშაოების ჩასატარებლად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 25 ნოემბრის № 671 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის შემსწავლელ განყოფილებასთან არსებული ლაბორატორიების ნაცვლად ჩამოყალიბდეს შემდეგი ლაბორატორიები:

— ნაძვის დიდი ლაფანჭამიისა და მისი ენტომოფაგების ბიოეკოლოგიის და ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლის ლაბორატორია;

— ატრაქტანტებისა და ქემოსტერელიანტებას ლაბორატორია;

— ნაძვის დიდ ლაფანჭამიასთან ქიმიური მეთოდებით ბრძოლის ლაბორატორია;

— ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ბორჯომის დასაყოდენი ბაზა, ბიოლოგიური მეთოდებით ბრძოლის სტაციონარული ინსექტარიუმით.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რესპუბლიკურ საგანგებო კომისიას:

ა) დამატებით ჩაატაროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტსა და სხვა კვლევით ორგანიზაციებში საჭირო ღონისძიებანი ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის კვლევითი მეთოდების გასაუმჯობესებლად და მუშაობის გასაღრმავებლად;

ბ) დაუწესოს შტატი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ლაბორატორიებს და ბორჯომის დასაყრდენ ბაზას;

გ) დაამტკიცოს 1968 წლისათვის როგორც საწარმოო, ისე საცდელი ქიმიკატებით შესხურების რეცეპტურა და შესხურების ვადები;

დ) მიიღოს დამატებითი ზომები და მავნებელთა წინააღმდეგ ღონისძიებათა შემუშავებაში ჩააბას ახალი ჯგუფი სამეცნიერო და სასწავლო ინსტიტუტებისა;

ე) სისტემატურად შეამოწმოს, თუ როგორ სრულდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებანი დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ და გადაჭრით გააუმჯობესოს ამ საქმეში ჩაბმულ ორგანიზაციათა მუშაობა;

ვ) სისტემატურად განიხილოს კომისიის სხდომებზე საკითხები ცალკეულ სატყეო მეურნეობათა მიერ ლაფანჭამიის წინააღმდეგ ჩატარებული მუშაობის შესახებ და დასახოს ღონისძიებანი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის.

3. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს:

ა) გაითვალისწინოს 1968 წლის გეგმებითა და ხარჯთაღრიცხვებით ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ წარმოებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაფინანსება ხელშეკრულებებით, რესპუბლიკურ საგანგებო კომისიასთან შეთანხმებით, როგორც მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან, ისევე სხვა საკავშირო ინსტიტუტებთან (ზოოლოგიის, ფიზიკური და ორგანული ქიმიის და სხვა), აგრეთვე საკონსტრუქტორო ბიუროსთან;

ბ) მოამარაგოს არა უგვიანეს 1968 წლის I კვარტალისა სატყეო მეურნეობები სათანადო აპარატურით, სპეცტანსაცმლითა და შხამქიმიკატებით, დაწესებული რეცეპტურისა და გეგმის მიხედვით და უზრუნველყოს ბრძოლის ღონისძიებების ოპტიმალურ ვადებში ჩატარება;

გ) ჩაატაროს ტყეებში ბიოტექნიკური ღონისძიებები, კერძოდ, ზოოლოგიის ინსტიტუტის მიერ დამუშავებული ინსტრუქციის მიხედვით მოაწყოს საჭირო რაოდენობით ფრინველთათვის ხელოვნური საბუდარები;

დ) ჩაატაროს 1968 წლის ბოლომდე განსაკუთრებული სამუშაოები ბორჯომის, ბაკურიანის, ახალციხისა და აბასთუმნის სატყეო მეურნეობებში სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. უზრუნველყოს ლაფანჭამიით და სხვა მავნებლებით გამხმარი, ქარქცეული, თოვლქცეული ხეების როგორც სამასალე, ისე საშეშე კონდიციების მოჭრა, ნარჩენების დამუშავება და ხეების გამოტანა.

შემდეგში არ დაუშვას სანიტარულ-ჰიგიენურ სამუშაოთა მიშვება და რეგულარულად ჩაატაროს ყველა კორომში ტყის გაწმენდა-გაჯანსაღება და ტყის განახლება-აღდგენითი სამუშაოები დიდი მასშტაბით (შეთესვა, ნიადაგის აჩიჩქვნა, შემოღობვა, დარგვა და სხვა).

დაევალოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს გაატაროს ბორჯომის სახელმწიფო ნაკრძალში ყველა საჭირო სანიტარულ-ჰიგიენური ღონისძიებანი და ტყის აღდგენითი სამუშაოები.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) უზრუნველყოს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემსწავლელი განყოფილების ლაბორატორიები საჭირო მოწყობილობა-აპარატურით;

ბ) დააპროექტოს და ბორჯომში ააგოს 1968-69 წლებში მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ტყის მავნებლებთან ბრძოლის საყრდენი ბაზის (საცდელი სადგურის) კაპიტალური შენობა ინსექტარიუმით, ლაბორატორიებით და მეცნიერ მუშაკთა საცხოვრებელი ბინებით.

5. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტს და ამ ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წი-

ნაღმდეგ ბრძოლის მეთოდების შემსწავლელ განყოფილებას:

ა) გადასინჯონ 1968 წლის კვლევითი მუშაობის გეგმები იმ მხრივ, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიანიჭონ ბრძოლის ბიოლოგიური მეთოდების შესწავლას, ატრაქტანტების ძიება-შესწავლას და გამოცდას, აგრეთვე სხვა ისეთ საკითხებს, რომელთაც შეუძლიათ საფუძვლიანად გადაწყვიტონ მავნებლებთან ბრძოლის საკითხები;

ბ) დააკომპლექტონ ახალი ლაბორატორიები გამოცდილი და კვალიფიციური მეცნიერ მუშაკებით და საჭიროების მიხედვთ მოიწვიონ შეთავსებით სამუშაოზე უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები;

გ) უზრუნველყონ მეცნიერული საკითხების დამუშავება მაღალ დონეზე და თანამედროვე მეცნიერული მიღწევების გამოყენებით.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტთან ერთად გააფართოონ მუშაობა:

ა) ატრაქტანტების ძიებისა და მიღებულ ქიმნივთიერებათა ეფექტიანობის შემოწმებისათვის ლაბორატორიების ან ტყის პირობებში, აგრეთვე ატრაქტანტების გამოყენების მეთოდიკის დამუშავებისათვის;

ბ) შესასხურებელი შხამქიმიკატების ახალი სერიების დასამუშავებლად;

7. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომს დაუჯავშნოს ბინები თბილისში იმ მეცნიერ თანამშრომლებს, რომლებიც განწესებული იქნებიან ტყის დაცვის საყრდენ ბაზაში სამუშაოდ.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობას და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს გამონახონ ერთი თვის ვადაში სათანადო ფართობი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტის ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის განყოფილების ლაბორატორიების მოსაწყობად.

9. დაწესდეს ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური მაღალეფექტურ ღონისძიებათა დამუშავებისათვის შემდეგი ფულადი ჯილდოები:

პირველი ჯილდო — ერთი — 5000 მანეთის რაოდენობით;

მეორე ჯილდო — ორი — თითო 3000 მანეთის რაოდენობით;

მესამე ჯილდო — სამი — თითო 1500 მანეთის რაოდენობით;

აღნიშნული ჯილდოების მიკუთვნება მოხდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით, რესპუბლიკური საგანგებო კომისიის წარდგენით.

დაევალოს რესპუბლიკურ საგანგებო კომისიას დაამტკიცოს კონკურსის დებულება და ჯილდოების გაცემის წესები — კონკურსის პირობები და წესები გამოქვეყნდეს პრესაში.

■

■ ■

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო მოითხოვს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისაგან და მისი ინსტიტუტებისაგან, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მისი მცენარეთა დაცვის ინსტიტუტისაგან, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტისაგან და ყველა იმ ორგანიზაცია-დაწესებულებისაგან, რომელთაც აქვთ დავალებული ნაძვის დიდი ლაფანჭამიის წინააღმდეგ ბრძოლა, მეტი აქტივობით და პასუხისმგებლობით მოკიდონ ხელი რესპუბლიკისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტას უახლოეს ხანში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 5 ოქტომბერი, № 617.

15 არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღმზრდელის დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღმზრდელის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 5 ოქტომბერი, № 619.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 5 ოქტომბრის № 619
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

არასრულწლოვანთა საზოგადოებრივი აღმზრდელის შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1. საზოგადოებრივი აღმზრდელის ინსტიტუტი დაწესდა იმ მიზნით, რომ ამაღლდეს საზოგადოებრიობის როლი სამართალდამრღვევ არასრულწლოვანთა აღზრდაში.

საზოგადოებრივი აღმზრდელის ძირითადი ამოცანაა დახმარება გაუწიოს მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს, რათა არასრულწლოვანი სამართალდამრღვევნი აღზარდონ სოციალისტური ცხოვრების კანონებისა და წესების დაცვისადმი პატივისცემის სულისკვეთებით.

2. საზოგადოებრივ აღმზრდელად შეიძლება იყვნენ განსაკუთრებით აქტიური მუშები, მოსამსახურეები, კოლმეურნეები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, სამხედრო მოსამსახურეები, სტუდენტები, პენსიონერები და სხვა მოქალაქენი, რომლებსაც აქვთ საჭირო ზოგადი განათლება, ცხოვრებისეული გამოცდილება ან ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება, იმ პირობით თუ ისინი თანახმა არიან იკისრონ საზოგადოებრივი აღმზრდელის მოვალეობანი.

საზოგადოებრივ აღმზრდელებად რეკომენდებულ პირებს ასახელებს მშრომელთა კოლექტივის ან იმ საზოგადოებრივი ორგანიზაციის საერთო კრება, რომელშიც ირიცხებიან ისინი, ან მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — სახლის მცხოვრებთა კრება. რეკომენდებულთა სიები ეგზავნება მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას. ეს პირები შედიან კომისიის აქტივის შემადგენლობაში.

3. საზოგადოებრივი აღმზრდელი დაენიშნება, საჭიროების შემთხვევაში, არასრულწლოვანთა უმეთვალყურეობისა და სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად, იმ არასრულწლოვანს, რომელსაც:

ა) ჩადენილი აქვს სამართალდარღვევა, მაგრამ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლებულია ასაკის გამო ან იმ მიზეზით, რომ მიზანშეუწონელია მის მიმართ სისხლისსამართლებრივი სასჯელის ზომების გამოყენება, თუ ნაადრევია სამართალდამრღვევის მოთავსება სპეციალურ აღმზრდელობითს დაწესებულებაში;

ბ) მისჯილი აქვს პირობითი სასჯელი ან სასჯელის ზომა, რომელიც დაკავშირებული არ არის თავისუფლების აღკვეთასთან;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) მოხდილი აქვს სასჯელი ან ვადამდეა განთავისუფლებული სასჯელისაგან;

დ) დაბრუნებულია სპეციალური სკოლიდან, სპეციალურ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლიდან, სამკურნალო-აღმზრდელობითი დაწესებულებიდან, საბავშვო სახლიდან, სკოლა-ინტერნატიდან.

საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნა არ ათავისუფლებს მშობლებს ან მათს შემცვლელ პირებს იმ მოვალეობისა და პასუხისმგებლობისაგან, რაც მათ აკისრიათ არასრულწლოვანის აღზრდისა და მისი ყოფაქცევისათვის.

4. არასრულწლოვანს სამეთვალყურეოდ მიაბარებს საზოგადოებრივ აღმზდელს არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია სასამართლოს განჩინების, განაჩენის ან დადგენილების საფუძველზე, თუ სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს დანიშნოს საზოგადოებრივი აღმზრდელი, ანდა საკუთარი ინიციატივით, ან სახელმწიფო ორგანოთა, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ცალკეულ მოქალაქეთა ინიციატივით.

არასრულწლოვანთა საქმეების კომისია საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ 5 დღის ვადაში აცნობებს სასამართლოს, სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოქალაქეებს, რომელთა ინიციატივით განიხილა საქმე, — საზოგადოებრივი აღმზრდელის გვარს, სახელს, მამის სახელს, სამუშაო ადგილს და მისამართს.

5. კომისიის მიერ საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნისას, ყოველი ცალკეული შემთხვევის დროს, მხედველობაში მიიღება სამართალდარღვევის ხასიათი, არასრულწლოვანის ასაკი, მიდრეკილება, სხვა გარემოებანი, აგრეთვე თვით საზოგადოებრივი აღმზრდელის შესაძლებლობანი და თანხმობა, რომ შეასრულებს დაკისრებულ მოვალეობას მისთვის მიჩენილი სამართალდამრღვევი არასრულწლოვანისადმი.

6. არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია საზოგადოებრივ აღმზრდელს აძლევს მოწმობას და სამახსოვრო წიგნაკს, რომელშიც ჩამოყალიბებულია საზოგადოებრივი აღმზრდელის უფლება-მოვალეობანი.

7. საზოგადოებრივი აღმზრდელი თავისი მუშაობის დროს მჭიდრო კონტაქტშია არასრულწლოვანთა მშობლებთან ან მათ შემცვლელ პირებთან, არასრულწლოვანის სწავლების, მუშაობის ან საცხოვრებელ ადგილას არსებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მილიციის თანამშრომლებთან და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, რომლებიც მუშაობენ არასრულწლოვანთა აღზრდის საკითხებზე.

საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა თანამდებობის პირნი, აგრეთვე პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები ყოველნაირად ეხმარებიან მუშაობაში საზოგადოებრივ აღმზრდელებს.

8. საზოგადოებრივი აღმზრდელის საქმიანობის ხელმძღვანელობას და კონტროლს ახორციელებს არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია, მეთოდურ ხელმძღვანელობას — სახალხო განათლების რაიონული (საქალაქო) განყოფილება, რომელიც საზოგადოებრივ აღმზრდელს აცნობს პედაგოგიკის, ფსიქოლოგიისა და სამართლებრივი ცოდნის საფუძვლებს.

საზოგადოებრივი აღმზრდელი სისტემატურად აბარებს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას და კოლექტივს ან საზოგადოებრივ ორგანიზაციას, რომლებმაც დაასახელეს იგი.

9. ერთი საზოგადოებრივი აღმზრდელი შეიძლება შეიცვალოს მეორეთი გამონაკლის შემთხვევებში, როცა არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისია საჭიროდ მიიჩნევს ამ ღონისძიებას.

როცა არასრულწლოვანი სხვაგან გადავა საცხოვრებლად, კომისია, რომელმაც დანიშნა საზოგადოებრივი აღმზრდელი, აცნობებს არასრულწლოვანის საცხოვრებელ ადგილას არსებულ შესაბამის კომისიას სხვა საზოგადოებრივი აღმზრდელის დანიშვნის საჭიროების შესახებ.

10. საზოგადოებრივი აღმზრდელის მუშაობა შეწყდება არასრულწლოვანთა საქმეების რაიონული (საქალაქო) კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმის გამო, რომ არასრულწლოვანი გამოსწორდა ან 18 წლის ასაკს მიაღწია.

II. საზოგადოებრივი აღმზრდელის მოვალეობანი

11. საზოგადოებრივი აღმზრდელი მოვალეა:

ა) დაეხმაროს მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს არასრულწლოვანთა აღზრდაში; ყოველი ღონე იხმაროს, რათა გამოასწოროს არასრულწლოვანი, გადააჩვიოს მავნე და ამორალურ თვისებებს და აზრებს, მოამზადოს იგი შეგნებული საზოგადოებრივ სასარგებლო შრომითი საქმიანობისათვის; აღზარდოს არასრულწლოვანი ჩვენი ხალხის რევოლუციური, შრომითი და საბრძოლო ტრადიციების, უფროსის პატივისცემის, სამშობლოს სიყვარულის სულისკვეთებით; ჩაუნერგოს მას საზოგადოებისა და სამშობლოს წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა;

ბ) თვალყური ადევნოს იმას, რომ არასრულწლოვანმა არ გააცდინოს გაკვეთილები, კარგად ისწავლოს, შეასრულოს საშინაო დავალებანი, წესიერად მოიქცეს სკოლაში, სამუშაოზე, შინ, ქუჩაში, საზოგადოებრივ ადგილებში; ჩაებას იგი სკოლისგარეშე საბავშვო დაწესებულებებისა და წრეების მუშაობაში; მიიღოს ზომები, რათა არასრულწლოვანს ჰქონდეს სწავლის, შრომისა და დასვენების სწორი ორგანიზაციის სათანადო პირობები;

გ) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობა მიიღოს არასრულწლოვანის საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში ჩაბმაში, სასწავლებელში, სპორტულ-ტექნიკურ და სხვა წრეებსა და სექციებში მოწყობაში.

მუშაობის პროცესში საზოგადოებრივმა აღმზრდელმა უნდა გაითვალისწინოს არასრულწლოვანის ბუნება-ხასიათი და გამოიყენოს აღმზრდელობითი მუშაობის ყველაზე ეფექტიანი ფორმები და საშუალებანი, საჭირო შემთხვევებში დახმარებისათვის მიმართოს არასრულწლოვანთა საქმეების რაიონულ (საქალაქო) კომისიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მილიციის მუშაკებს, პედაგოგებს, ექიმებსა და სხვა სპეციალისტებს.

III. საზოგადოებრივი აღმზრდელის უფლებანი

12. საზოგადოებრივ აღმზრდელს უფლება აქვს:

ა) სახლში, სასწავლებელში ან სამუშაოზე იაროს არასრულწლოვანთან, კონტროლი გაუწიოს მის ხარჯებს, დაარიგოს, რომ დაიცვას ყოფაქცევის წესები; თუ არასრულწლოვანმა რამდენჯერმე არ შეასრულა მისი მოთხოვნები, ან ნაყოფი არ გამოიღო მუშაობამ არასრულწლოვანის გამოსასწორებლად, — შეიტანოს არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის განსახილველად საკითხი ზემოქმედების სხვა ზომების მისაღებად;

ბ) მშობლების ან მათი შემცვლელი პირების ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ჯეროვნად არ ასრულებენ მშობლის მოვალეობებს, განუმარტოს რა პასუხისმგებლობა ეკისრებათ მათ არასრულწლოვანის აღზრდისა და ყოფაქცევისათვის; აღძრას არასრულწლოვანთა საქმეების კომისიის წინაშე საკითხი, რათა მშობელთა სამსახურში აცნობოს, რომ ისინი არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ შვილების აღზრდის მოვალეობას, კომისიის სხდომაზე იმსჯელონ მშობელთა საქციელზე და მიიღონ ზემოქმედების სხვა ზომები;

გ) აღძრას საკითხი არასრულწლოვანის სასწავლებლის, სამსახურის ადმინისტრაციის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით — საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წინაშე, რომ აღმოიფხვრას ნაკლოვანებანი აღმზრდელობითს მუშაობაში და შეიქმნას ყველაზე ხელსაყრელი პირობები არასრულწლოვანის სწავლისა და მუშაობისათვის.

IV. საზოგადოებრივი აღმზრდელის წახალისების ღონისძიებანი

13. საზოგადოებრივ აღმზრდელს, რომელიც აქტიურად და სანიმუშოდ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, წაახალისებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს რაიონული (საქალაქო) აღმასრულებელი კომიტეტი, საზოგადოებრივი ორგანიზაცია, საწარმოს, დაწესებულებისა და სხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

მადლობის გამოცხადებით;
სიგელით დაჯილდოებით;
საპატიო დაფაზე შეტანით;
ფულადი პრემიით ან ფასიანი საჩუქრით.

საზოგადოებრივ აღმზრდელს, რომელიც განსაკუთრებით ისახელებს თავს, მისი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელს შეუძლია წახალისების სახით მისცეს დამატებითი ანაზღაურებული შვებულება, სამ სამუშაო დღემდე წელიწადში.

16 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს „დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 14 ოქტომბერი, № 635.

დ ა მ ტ კ ი ც ე ბ უ ლ ი ა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1967 წლის 14 ოქტომბრის № 635
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს შესახებ

1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო შეიქმნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 5 იანვრის № 6 დადგენილების საფუძველზე და თავის საქმიანობაში ექვემდებარება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ეკისრება უზრუნველყოს სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ ყველა კანონის, სსრ კავშირის მთავრობისა და საქართველოს სსრ მთავრობის ყველა დადგენილებისა და განკარგულების შესრულება, რომლებიც შეეხება ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო ახორციელებს კონტროლს რესპუბლიკის სანადირო სავარგულებში სამონადირეო მეურნეობის სწორად გაძღოლისადმი, აფორმებს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე სამონადირეო მეურნეობათა მიწერას, სდებს მათთან ხელშეკრულებებს მიწერის შესახებ, ადგენს მიწერილ მეურნეობებში სამუშაოთა გეგმებს და ადევნებს თვალყურს, თუ როგორ აცავენ ნადირობის კანონებს საქართველოს სს

რესპუბლიკაში მონადირეთა საზოგადოებანი და ქურქ-ბეწვეულის დამამზადებელი ორგანიზაციები.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სათავეში უდგას სამმართველოს უფროსი. სამმართველოს უფროსს და უფროსის მოადგილეს დანიშნავს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს უფროსი ხელმძღვანელობს სამმართველოსა და მისადმი დაქვემდებარებული დაწესებულებების, ორგანიზაციების, საწარმოების, სამონადირეო ინსპექციების მთელ საქმიანობას და ამის შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად შეიტანს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა პროექტებს, რომლებიც შეეხება საქართველოს სს რესპუბლიკაში ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარებას.

ბ) გამოსცემს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სს რესპუბლიკის მოქმედი კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და შესასრულებლად, ამოწმებს მათს შესრულებას. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მიერ გაცემული ბრძანებები და ინსტრუქციები ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის გაძღოლის საკითხებზე სავალდებულოა საქართველოს სსრ ყველა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და მოქალაქისათვის;

გ) დაამტკიცებს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა დებულებებს და წესდებებს, აგრეთვე დებულებას სახელმწიფო ინსპექტორებისა და საზოგადოებრივი სამონადირეო ინსპექციის შესახებ;

დ) დაამტკიცებს სამმართველოსადმი უშუალოდ დაქვემდებარებული ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობათა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა შტატებს, გეგმებს, ხარჯთაღრიცხვებსა და ბალანსებს;

ე) დანიშნავს თანამდებობაზე და გაათავისუფლებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, საწარმოთა და სამონადირეო ინსპექციათა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ და მეცნიერ მუშაკებს;

ვ) დაუნიშნავს პერსონალურ განაკვეთებს სამმართველოს ცენტრალური აპარატის მუშაკებს, აგრეთვე ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სისტემაში შემავალ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს;

ზ) დაამტკიცებს სანადირო ძაღლების გამოფენების, გამოყვანისა და საველე გამოცდის მსაჯთა კოლეგიების შემადგენლობას.

თ) გაუქმებს ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობების და ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ სხვა დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა დირექციების ბრძანებებს და ინსტრუქციებს, რომლებიც ეწინააღმდეგება სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებს და განკარგულებებს, აგრეთვე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს;

ი) წარადგენს დადგენილი წესით შესაბამის ინსტანციებში კანდიდატურებს საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა, საპატიო სიგელების მინიჭებისათვის, სსრ კავშირის მედლებითა და ორდენებით დაჯილდოებისათვის.

4. სამმართველოს უფროსის მოადგილე ხელმძღვანელობს სამეცნიერო-კვლევითს მუშაობას ნაკრძალებში და უფროსის არყოფნის დროს წარმართავს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მთელ საქმიანობას.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოში შეიქმნება კოლეგია სამმართველოს უფროსის თავმჯდომარეობით.

კოლეგიის შემადგენლობას ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო სამმართველოს უფროსის წარდგენით.

კოლეგია თავის რეგულარულ სხდომებზე განიხილავს ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და რეწვის განვითარების, ქვესაუწყებო დაწესებულებების, ორგანიზაციებისა და საწარმოების პრაქტიკული ხელმძღვანელობის, შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევის ძირითად საკითხებს, სამმართველოს უფროსის უმნიშვნელოვანეს ბრძანებათა და ინსტრუქციათა პროექტებს, მოისმენს სამმართველოსა და მისდამი დაქვემდებარებულ დაწესებულებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელი მუშაკების ანგარიშს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ხორციელდება სამმართველოს უფროსის ბრძანებით.

თუ სამმართველოს უფროსი და კოლეგია ვერ შეთანხმდნენ, სამმართველოს უფროსს უფლება აქვს განახორციელოს თავისი გადაწყვეტილება, ამასთან, წამოჭრილი უთანხმოების შესახებ უნდა აცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოში შეიქმნება:

ა) სამეცნიერო-ტექნიკური საბჭო,

ბ) კინოლოგიის საბჭო,

გ) საკვალიფიკაციო კომისია, სამონადირეო მეძაღლეობაში ექსპერტი მსაჯის წოდების მინიჭებისათვის.

საბჭოებისა და კომისიების დებულებებს, აგრეთვე მათს შემადგენლობას ამტკიცებს სამმართველოს უფროსი.

7. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს ძირითადი ამოცანებია:

ნაკრძალების დარგში

ა) შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სახელმწიფო ნაკრძალების ფლორისა და ფაუნის დაცვა და გამდიდრება და მათი ბუნებრივი კომპლექსების აღდგენა, აგრეთვე ნაკრძალების რეჟიმის შესრულება; მოაწყოს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები, რომელთაც თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა ექნებათ სატყეო, სასოფლო და სამონადირეო მეურნეობისათვის, იქონიოს კავშირი სამინისტროებთან, უწყებებთან და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან სახელმწიფო ნაკრძალების მეცნიერული და კულტურულ-აღმზრდელობითი საქმიანობის საკითხებზე;

ბ) უზრუნველყოს ნაკრძალების კომპლექსური მოწყობა და მათი მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესება;

სამონადირეო მეურნეობის დარგში

გ) კონტროლი გაუწიოს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა საქმიანობას საქართველოს სსრ ტერიტორიაზე სამონადირეო მეურნეობის გაძღოლის, სამონადირეო სპორტის, ქურქ-ბეწვეულის ნედლეულის რეწვისა და დამზადების საქმეში;

დ) აწარმოოს სამუშაოები, რათა გამოიკვლიოს და მოაწყოს სანადირო სავარგულები, განსაზღვროს მათი სახელმწიფო, კოოპერაციულ ორგანიზაციებზე მიმაგრების სისწორე და მიზანშეწონილობა; შეიმუშაოს და განახორციელოს ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სასარგებლო ნადირისა და ფრინველის დაცვა, მომრავლება და სულადობის გაუმჯობესება; უზრუნველყოს სახელმწიფო სამონადირეო ფონდის აღრიცხვა და კვლავწარმოება, აგრეთვე დაცვა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინსპექციის და საეგერო სამსახურის მეშვეობით;

ე) აკრძალოს ცალკეულ სახეობათა ნადირისა და ფრინველის დახოცვა; მოამზადოს სამონადირეო მეურნეობის პროდუქციის დამზადების გეგმების პროექტები და წარუდგინოს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, დაადგინოს სალიცენზიო სახეობათა ნადირისა და ფრინველის რაოდენობა, გასცეს ნებართვები სამეცნიერო, კულტურული, სამეურნეო და სპორტული მიზნებისათვის ნადირისა და ფრინველის დასახოცად და დასაჭერად; კონტროლი გაუწიოს ნაკრძალის რეჟიმის, ნადირობის და სამონადირეო მეურნეობის პროდუქციის დამზადების წესებისა და ვადების დაცვას, აგრეთვე მონადირეთა რეგისტრაციას და ნადირობის ნებართვის მიღებისათვის სახელმწიფო გადასახადის გადახდევინებას;

ვ) განახორციელოს ღონისძიებანი სახალხო მეურნეობისათვის ზიანის მომტანი მტაცებლების რიცხვის რეგულირების მიზნით, მონადირეთა საზოგადოებების, სახელმწიფო სამონადირეო ინსპექტორთა და ეგერთა მეშვეობით;

ზ) დაამტკიცოს ნიმუშები და ტექნიკური პირობები სამონადირეო აღჭურვილობის არასტანდარტიზებული საგნებისა, რომლებსაც უშვებენ მონადირეთა საზოგადოებების და სხვა ორგანიზაციათა სამრეწველო საწარმოები;

თ) უხელმძღვანელოს მუშაობას სამონადირეო მეძაღლეობის განვითარებისათვის, კონტროლი გაუწიოს სანადირო ძაღლების საჯიშე დავთრების წარმოებას და სანადირო ძაღლების გამოფენების, გამოყვანის, შეჯიბრებებისა და საველე გამოცდების მოწყობას მონადირეთა საზოგადოებების მეშვეობით;

ი) აწარმოოს სახელმწიფო სამონადირეო ფონდის აღრიცხვა, მოაწყოს სანადირო სავარგულები და მიამაგროს ისინი ორგანიზაციებს;

დაგეგმვის, ფინანსების, შრომის, აღრიცხვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების დარგში

კ) შეადგინოს ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის, ბიოტექნიკურ ღონისძიებათა, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, კაპიტალურ დაბანდებათა და კაპიტალური რემონტის გეგმები, საფინანსო გეგმების შემოსავლისა და გასავლის ბალანსები; დაამტკიცოს რესპუბლიკის კოოპერაციული და საზოგადოებრივი სამონადირეო ორგანიზაციების სამონადირეო მეურნეობის განვითარების გეგმები;

ლ) დაამტკიცოს დადგენილი წესით ქვესაუწყებო დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა გეგმები, შტატები და დაფინანსების ლიმიტები და განახორციელოს კონტროლი მათი საწარმოო და საფინანსო საქმიანობისადმი;

მ) უხელმძღვანელოს ნაკრძალების და სამონადირეო მეურნეობის კადრების შერჩევა-განაწილებას და მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებას;

ნ) უხელმძღვანელოს სამეცნიერო-კვლევითს სამუშაოებს, რომლებიც ქვესაუწყებო ორგანიზაციებში წარმოებს, და განახორციელოს ამ მუშაობის კოორდინაცია რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში;

ო) უხელმძღვანელოს სტატისტიკური აღრიცხვის მუშაობას ქვესაუწყებო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, განაზოგადოს და გააანალიზოს მონადირეთა საზოგადოებების და დამამზადებელ ორგანიზაციათა სამონადირეო მეურნეობის წლიური ანგარიშები;

პ) ორგანიზაცია გაუწიოს და უხელმძღვანელოს საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების საქმეს სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში და დაამტკიცოს მათი ბალანსები; შეადგინოს პერიოდული და წლიური საბუღალტრო ანგარიშგებანი სამმართველოს საქმიანობის ყველა დარგის მიხედვით; მოაწყოს დოკუმენტური რევიზიები ქვესაუწყებო დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ჟ) მოამზადოს გამოსაცემად დადგენილი წესით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით, ლიტერატურა ნაკრძალების საქმის, სამონადირეო მეურნეობის, სამონადირეო სპორტისა და სამონადირეო რეწვის საკითხებზე;

რ) უხელმძღვანელოს ნაკრძალების, სამონადირეო მეურნეობებისა და სამმართველოს სისტემის სხვა საწარმოთა და ორგანიზაციათა მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას;

ს) კონტროლი გაუწიოს მასალების ხარჯვის ნორმების დაცვას, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საგნების სწორ გამოყენებას და მოვლას, აგრეთვე დეფიციტური და სხვა ძვირფასი მასალების შეცვლას უფრო ეკონომიური მასალებით.

8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო:

ა) ახორციელებს ღონისძიებებს სახელმწიფო სოციალისტური საკუთრების დასაცავად სამმართველოსადმი დაქვემდებარებულ დაწესებულებებში, ორგანიზაციებსა და საწარმოებში;

ბ) კანონით გათვალისწინებული შემთხვევების დროს უგზავნის დადგენილ ვადაში საგამომძიებლო ორგანოებს მასალებს ნადირობის ვადებისა და წესების და ნაკრძალის რეჟიმის დარღვევის შესახებ დამრღვევთა სისხლისსამართლებრივ ან ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემად, წაუყენებს დამრღვევთ სამოქალაქო სარჩელს სამონადირეო მეურნეობისათვის, სახელმწიფო სამონადირეო ფონდისათვის მიყენებული ზარალის გამო.

9. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო ხელმძღვანელობს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომთან და რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებული სამონადირეო ინსპექციისა და საეგერო სამსახურის მუშაობას.

10. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს სტრუქტურას და შტატებს ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს აქვს შტამპი და ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია საქართველოს სსრ სახელმწიფო გერბი და სამმართველოს სახელწოდება.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველოს მუშაკებს (მოანგარიშე-ტექნიკური პერსონალის გარდა) აქვთ დამტკიცებული ნიმუშის ფორმის ტანსაცმელი და უფლება აქვთ ატარონ პისტოლეტი.

---

17 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 აგვისტოს № 757 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 აგვისტოს № 757 დადგენილებისა „მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის საერთო სახელმწიფო სისტემის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 29 ნოემბრის № 916 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა გაუქმების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

I. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

1. 1,2 პუნქტები და მე-3 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 ივლისის № 577 დადგენილებისა „მრეწველობაში, მშენებლობასა და ტრანსპორტზე მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის, პროპაგანდისა და საგამომცემლო საქმიანობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 17 თებერვლის № 107 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის დებულების დამტკიცების შესახებ“.

3. 3 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 7 ივლისის № 445 დადგენილებისა „სამრეწველო მოწყობილობის ტექნიკური კატალოგების გამოცემის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

4. პუნქტები 1, 2 და 7 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 18 ივლისის № 496 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

5. პუნქტი 8 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 3 აგვისტოს № 545 დადგენილებისა „მეცნიერული კვლევისათვის საჭირო თანამედროვე ხელსაწყოებით, მოწყობილობითა და მასალებით სამეცნიერო დაწესებულებების უზრუნველყოფის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

II. მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 11 აგვისტოს № 757 დადგენილებით გაუქმებულია 2 პუნქტის ქვეპუნქტი „ბ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 სექტემბრის № 755 დადგენილებისა „ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაუმჯობესე-

ბის შესახებ“, რომელიც დაიგზავნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 2 აპრილის № 183 დადგენილებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 18 ოქტომბერი, № 642.

18 „ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ლიტერატურულ ნაწარმოებთა საავტორო ჰონორარის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილებაში შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. ზემოაღნიშნული დადგენილების პირველი განაყოფის პირველი პუნქტის XVIII ქვეპუნქტი და XXVI „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„XVIII. მასობრივი გამოცემანი:

მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე სამეცნიერო-სამხატვრო ლიტერატურა, პიესები, კინოსცენარები) . . . . . 40-50, 200,225,250,300,400“.

„XXVI თარგმანი:

ა) მხატვრული პროზა (მათ შორის ბავშვებისათვის, აგრეთვე პიესები და სცენარები) . . . . . 40-50,70,100,125,150“.

2. პირველი განაყოფის მე-4 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) თუ წიგნი გამოდის ერთბაშად მასობრივი გამოცემით, რომელსაც წინ არ უძღოდა ჩვეულებრივი გამოცემა, ამ გამოცემის ჰონორარი ავტორს მიეცემა ერთი ჩვეულებრივი გამოცემისათვის ასი პროცენტის და ერთი მასობრივი გამოცემისათვის ასი პროცენტის ოდენობით. შემდგომში ასეთის ხელახლა გამოცემა ჩაითვლება ერთ მასობრივ გამოცემად“.

3. მესამე განაყოფის 27-ე პუნქტს დაემატოს მეორე ნაწილი შემდეგი შინაარსისა:

„საავტორო ჰონორარი, რომლის მიღების უფლება წარმოიშვა ავტორის სიცოცხლეში, მემკვიდრეებს უნდა მიეცეს მთლიანად — 100 პროცენტის ოდენობით“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ვ. მეგრელიშვილი.**

ქ. თბილისი, 1967 წ. 26 ოქტომბერი, № 651.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

19 განკარგულება № 1298-გ

მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს წინადადება და, „არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 3 სექტემბრის № 529 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის ახალი განაკვეთები შემოღებულ იქნას 1969 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

ქ. თბილისი, 1967 წლის 11 ოქტომბერი, № 1298-გ.

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1967 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12/XII-1967 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108/16
ქაღალდი 7700, ნაბეჭდი თაბახი 2,75 სააღრიცხვო თაბახი 2,5.

თარგმნილია რუსულიდან.

შეკვეთა № 1386 ტირაჟი 2800

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

05ᲡᲓᲗᲝ—78187